

**I. ფაკულტეტის დასახელება:** განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**II. პროგრამის დასახელება:** ქართული ფილოლოგია

**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი

**V. სწავლების ენა:** ქართული

**VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში;

**VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი – 8 ოცკვირიანი სემესტრი (15 კვირა–სააუდიტორიო მეცადინეობა; 2 კვირა–დასკვნითი გამოცდა; 3 კვირა–დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1კრედიტი - 25 საათი). მათ შორის 180 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად სპეციალობაზე (105 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომი, 35 კრედიტი – თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები; 20 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი – თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები); 60 კრედიტი – დამატებითი (minor) პროგრამა.

60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ერთი დამატებითი (minor) პროგრამა უნივერსიტეტში არსებული minor პროგრამებიდან, ასევე სასწავლო კურსი, მოდული ან სასწავლო კურსების ბლოკი უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი პროგრამებიდან, რაც დაეხმარება მას დასაქმებისათვის ან/და სწავლის გაგრძელებისათვის. პროგრამაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე 60 კრედიტის ფარგლებში შეიძლება უდიარდეს მობილობამდე სხვა პროგრამაზე/პროგრამებზე გავლილი სასწავლო კურსები.

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას–სულ 6000 საათს. აქედან 2539 საათი საკონტაქტოა (945–სალექციო, 1410 – სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკუმი, 184 – შუალედური და დასკვნითი გამოცდების), რაც შეადგენს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის 42%-ს. 3461 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას(58%).

**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნა-ჩვევების ტესტს ერთიენ ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტის პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის

მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში—უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი მერაბ ბერიძე

**X. პროგრამის აკრედიტაცია:** 13.09.2012 წ. №391 (აკრედიტაციის ვადა 31.12.2022 წ.)

**XI. პროგრამის განახლების თარიღი:** 2020 წელი

**XII. პროგრამის მიზანი:** ქართული ფილოლოგიის (ქართული ენა და ლიტერატურა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

- მისცეს სტუდენტებს ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური მიმართულებით ქართველური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნა
- შეასწავლოს სტუდენტს აკადემიურ დონეზე ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორია, ენის ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტური თავისებურებანი, ქართული ლიტერატურის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.
- გამოუმუშავოს ლინგვისტური და ლიტერატურისმცოდნეობითი ანალიზის უნარი.
- შესძინოს სტუდენტს ზოგადი კომპეტენციები, რომელიც გამოადგებათ მათ შემდგომი სასწავლო თუ სამეცნიერო საქმიანობისას.

**XIII. დასაქმების სფერო:**

- საგამომცემლო საქმიანობა და წიგნის ბაზარი;
- ბიბლიოთეკები და საისტორიო – ლიტერატურული არქივები;
- კულტურის სფეროს დაწესებულებები ადმინისტრაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით;
- მედია და თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა (მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი).
- საზღვარგარეთის სახელმწიფო და ბიზნეს დაწესებულებებში მთარგმნელად, რეფერენტად და სხვა.
- საბაზო და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებად 2014 წლამდე.
- სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებში, რომლებიც მიზნად ქართული ენის მხარდაჭერას ისახავს.

**XIV. სწავლის შედეგი:**

1. მსჯელობს ენათმეცნიერების თეორიების, ხერხებისა და მეთოდების, ენათმეცნიერების ახალი მიმართულებების, დამწერლობის წარმოშობისა და მისი ისტორიის შესახებ ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ქართული ენის გრამატიკის ფართო ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი კანონზომიერებების კრიტიკულ გააზრებას, აფასებს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ეტაპებს და მის ისტორიას.
2. ლექსიკოლოგიის ფართო ცოდნის საფუძველზე განმარტავს და აანალიზებს ენის ლექსიკურ ერთეულებს, იწერს და ახარისხებს ქართული სალიტერატურო ენის დიალექტურ ფორმებს, ტოპონიმებს. ერთმანეთს ადარებს ქართველურ ენა–დიალექტებს. იცავს ქართული

- სალიტერატურო ენის ნორმებს, სწორმეტყველებისა და მართლწერის წესებს.
3. ანალიზებს ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდებსა და ტენდენციებს, აკავშირებს მას ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიასთან. მსჯელობს ქართული ლიტერატურის ძეგლების, ქართული ემიგრანტული მწერლობის ნიმუშების, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურული სპეციფიკის საკითხებზე. კრიტიკულად იაზრებს ქართული ფოლკლორის/მითოსის, ანტიკური და/ან საზღვარგარეთის ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშების ძირითად პრობლემატიკას ქართული ლიტერატურის კონტექსტში.
  4. აფასებს რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობას, აკავშირებს მის პრობლემატიკას მსოფლიო ლიტერატურასთან. ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ ცოდნის გააზრებით განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.
  5. ტრადიციული და უახლესი მეთოდების გამოყენებით აგროვებს და განმარტავს ენობრივ (დიალექტურ-ტოპონიმურ და ლიტერატურულ (ფოლკლორულ) მონაცემებს. სიტუაციების სწორი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სათანადო დასკვნებს, იმოწმებს მონაცემებს, რაც საშუალებას აძლევს არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.
  6. წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე, ლოგიკურად ასაბუთებს თავის შეხედულებებს. გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების პერსპექტივას, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
  7. შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით არგუმენტირებულად წარმოადგენს, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის გზებს ესეს, სამეცნიერო-კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის სახით. ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები/სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
<p>პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ</p> <p>კურსდამთავრებული:</p> <p>1. მსჯელობს ენათმეცნიერების თეორიების, ხერხებისა და მეთოდების, ენათმეცნიერების ახალი მიმართულებების, დამწერლობის წარმოშობისა და მისი ისტორიის შესახებ ლინგვისტური</p>	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრი ს ბოლოს	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ; დამსაქმებლების გამოკითხვა .	პროგრამის დასრულები ს შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს	<p>A-9%</p> <p>B-25%</p> <p>C-30%</p> <p>D-25%</p> <p>E-10%.</p> <p>F – 1 %.</p> <p>Fx -ვერ ჩააბარა</p>

<p>აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ქართული ენის გრამატიკის ფართო ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი კანონზომიერებების კრიტიკულ გააზრებას, აფასებს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ეტაპებს და მის ისტორიას.</p>					
<p>2. ლექსიკოლოგიის ფართო ცოდნის საფუძველზე განმარტავს და აანალიზებს ენის ლექსიკურ ერთეულებს, იწერს და ახარისხებს ქართული სალიტერატურო ენის დიალექტურ ფორმებს, ტოპონიმებს. ერთმანეთს ადარებს ქართველურ ენა-დიალექტებს. იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, სწორმეტყველებისა და მართლწერის წესებს.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-7 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ;  დამსაქმებლების გამოკითხვა .</p>	<p>პროგრამის დასრულები ს შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-9%.</b> <b>F – 1 %.</b> <b>Fx -ვერ ჩააბარა</b></p>
<p>3. აანალიზებს ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდებსა და ტენდენციებს, აკავშირებს მას ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიასთან. მსჯელობს ქართული ლიტერატურის ძეგლების, ქართული ემიგრანტული მწერლობის ნიმუშების, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურული სპეციფიკის საკითხებზე. კრიტიკულად იაზრებს ქართული ფოლკლორის/მითოსის, ანტიკური და/ან საზღვარგარეთის ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშების ძირითად პრობლემატიკას ქართული ლიტერატურის კონტექსტში.</p>	<p>სემინარი</p>	<p>მე-8 სემესტრი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; აკადემიური პერსონალის გამოკითხვა .</p>	<p>სასწავლო პროცესში</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-9%.</b> <b>F – 1 %.</b> <b>Fx -ვერ ჩააბარა</b></p>
<p>4. აფასებს რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობას, აკავშირებს მის პრობლემატიკას მსოფლიო ლიტერატურასთან.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-7 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ;</p>	<p>პროგრამის დასრულები ს შემდეგ მუშაობის დაწყების</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-9%.</b></p>

<p>ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ ცოდნის გააზრებით განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.</p>			<p>დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პირველ წელს</p>	<p><b>F – 1%.</b> <b>Fx</b> -ვერ ჩააბარა</p>
<p>5. ტრადიციული და უახლესი მეთოდების გამოყენებით აგროვებს და განმარტავს ენობრივ (დიალექტურ-ტოპონიმურ და ლიტერატურულ (ფოლკლორულ) მონაცემებს. სიტუაციების სწორი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სათანადო დასკვნებს, იმოწმებს მონაცემებს, რაც საშუალებას აძლევს არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.</p>	<p>კრებსითი გამოცდა</p>	<p>მე-7 სემესტრი ს ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულები ს შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-9%.</b> <b>F – 1%.</b> <b>Fx</b> -ვერ ჩააბარა</p>
<p>6. წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე, ლოგიკურად ასაბუთებს თავის შეხედულებებს. გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების პერსპექტივას, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.</p>	<p>კვლევითი პროექტის / ნაშრომის მომზადება</p>	<p>მე-8 სემესტრი ს ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულები ს შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-9%.</b> <b>F – 1%.</b> <b>Fx</b> -ვერ ჩააბარა</p>

<p>7. შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით არგუმენტირებულად წარმოადგენს, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის გზებს ესეს, სამეცნიერო-კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის სახით. ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.</p>	<p>პროექტის მომზადება, პრეზენტაცია</p>	<p>მე-6 სემესტრის ბოლოს</p>	<p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ; დამსაქმებლების გამოკითხვა</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს</p>	<p><b>A-10%</b> <b>B-25%</b> <b>C-30%</b> <b>D-25%</b> <b>E-10%.</b> <b>F – 1 %.</b> <b>Fx -ვერ ჩააბარა</b></p>
---	--	-----------------------------	---	--	---

### სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
  - ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
  - ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
  - გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
    - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
    - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დამლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.